



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 127

2016 წლის 17 ივნისი

ქ. თბილისი

2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში დარეგისტრირებული
პროექტების შეფასების საბოლოო ქულის დაანგარიშების წესის შესახებ

„ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ნინო ბიწაძის სამსახურებრივი ბარათის (N699011, 16.06.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსზე დარეგისტრირებული პროექტების შეფასების საბოლოო ქულის დაანგარიშების წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2016 წლის 17 ივნისის N 127 ბრძანებით

2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში
დარეგისტრირებული პროექტების შეფასების საბოლოო ქულის დაანგარიშების
წესი

მუხლი 1. საუკეთესო პროექტების განსაზღვრის წესი

1. დაფინანსების მოსაპოვებლად პირველ ეტაპზე ყველა სამეცნიერო მიმართულებიდან განიხილება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულაც მეტია ან ტოლი 30-ის და დაიანგარიშება მათი ქულათა საშუალო არითმეტიკული.
2. მეორე ეტაპზე თითოეული სამეცნიერო მიმართულებიდან განიხილება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულაც, მეტია ან ტოლი პუნქტი 1-ის მიხედვით განსაზღვრულ საშუალო არითმეტიკულზე და დაიანგარიშება აღნიშნული პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული.
3. საუკეთესო პროექტებად მიიჩნევა და დაფინანსების მოპოვებისათვის განიხილება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა შეფასების ქულა მეტია ან ტოლია პუნქტი 2-ის მიხედვით განსაზღვრულ საშუალო არითმეტიკულზე.

მუხლი 2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით:

1. კონკურსისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის 10% განსაზღვრულია საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით (მე-7 მიმართულება) შემოსული პროექტებისათვის, ხოლო ბიუჯეტის 90% ნაწილდება დანარჩენი 6 მიმართულებით (1-6 მიმართულებები) დარეგისტრირებულ პროექტებზე.

2. 1-6 მიმართულებებით დარეგისტრირებულ პროექტებისათვის განკუთვნილი თანხა ნაწილდება შემდეგი წესით:

ა) N_1 -ით აღინიშნება პირველ სამეცნიერო მიმართულებაში შემოსული საუკეთესო პროექტების ქულათა ჯამი, N_2 -ით- მეორე მიმართულებაში შემოსული საუკეთესო პროექტების ქულათა ჯამი და ა.შ, N_6 -ით- მეექვსე მიმართულებაში შემოსული საუკეთესო პროექტების ქულათა ჯამი.

$$N = N_1 + N_2 + N_3 + N_4 + N_5 + N_6$$

ბ) თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის (1-6) განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$K_1 = \frac{N_1}{N}, K_2 = \frac{N_2}{N}, \dots, K_6 = \frac{N_6}{N}$$

გ) თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის (1-6) განისაზღვრება ბიუჯეტი (B) შემდეგი ფორმულით: